საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ეთნოლოგია / Ethnology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Ethnology

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი ქეთევან ხუციშვილი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება : ეთნოლოგია, როგორც დარგი მიზნად ისახავს გაანალიზოს და შეადაროს კაცობრიობის ეთნიკური, რასობრივი ან ეროვნული თავისებურების წარმოშობა, გავრცელება, მათი რელიგიები, ენები და სოციალური სტრუქტურა. ეთნოლოგიური დისციპლინის მიზანია საველე მონაცემების საფუძველზე ხალხთა კულტურული და სოციალური განსხვავებულობის შესწავლა. ეთნოლოგიას მჭიდრო კავშირები აქვს სხვა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებთან (ისტორია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება, ფოლკლორისტიკა, გეოგრაფია, დემოგრაფია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ეკოლოგია და სხვა) და რიგ შემთხვევებში მხოლოდ ეთნოლოგიური ცოდნის გათვალისწინებით ხერხდება ზოგიერთი საკითხის ახსნა და შესწავლა (მაგ. ეთნოსის ფსიქოლოგიის — ეროვნული ხასიათის, შესწავლა წარმოუდგენელია ეთნოლოგიური მონაცემების გამოყენების გარეშე). ეთნოლოგიური დისციპლინის მიზანი საველე მონაცემების საფუძველზე მსოფლიოს ხალხთა სოციო-კულტურული განსხვავებულობის რელატივისტური შესწავლაა. თანამედროვეობის მოთხოვნებმა დამატებითი კორექტივები შეიტანა, როგორც დისციპლინის მეთოდიკასა და მეთოდოლოგიაში, ასევე განსახილველი პრობლემებისა და საკითხების ნუსხაში. ეთნოლოგია აღარ არის მხოლოდ ხალხების აღწერითა და მათი ყოფისა და კულტურის შესწავლით დაკავებული მეცნიერება. ეთნოლოგთა ინტერესების არეალში მოექცა მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და მათი განვითარების პერსპექტივების პროგნოზირება. ამ თვალსაზრისით, ეთნოლოგიურ კვლევებს, ეთნოგრაფიული რეალიებისა და მოვლენების ახსნის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. პირველყოვლისა ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ეთნოსთაშორის ურთიერთობებზე მოქმედი ფაქტორების, ეთნოსთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციული სისტემებისა და თანამედროვე მექანიზმების შესახებ არსებული ცოდნის გამოყენება; სხვადასხვა სახის კონფლიქტების (იქნება ეს ეთნიკური, რელიგიური, სოციალური თუ სხვა) ჩამოყალიბების მიზეზების, განვითარების შესაძლო ვარიანტების, სავარაუდო შედეგებისა და პრევენციის საშუალებების გარკვევა; ირიდენტისტული და სეცესიური პროცესების თავიდან აცილების გზების დასახვა. ამავე დროს, არანაკლები მნიშვნელობისაა არსებული ეთნოგრაფიული რეალობის (ეთნიკური თუ ეთნოგრაფიული თავისებურებების) ფიქსაცია, რიგ შემთხვევებში ზოგიერთი ტრადიციული ელემენტის რევიტალიზაცია (მაგ. სოციალური კონტროლის მექანიზმები, ურთიერთდახმარების ფორმები და სხვა). ასევე თანამედროვე პირობებში ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ეთნოგრაფიული მახასიათებლებითაც მიიპყროს და ისინი მარკეტინგული თვალსაზრისით გამოიყენოს.

პროგრამის მიზანი*:* ზემოთქმულის შესაბამისად, პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე ეთნოლოგიური მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე ბაკალავრები, რომელთაც ექნებათ პრაქტიკული კვლევების განხორციელების, მოვლენების პროგნოზირება-მართვის უნარი. წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მოამზადოს ეთნოგრაფიული რეალობისა და თავისებურებების (განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება კავკასიის რეგიონსა და საქართველოზე) მცოდნე ბაკალავრი, რომლისთვისაც კარგად იქნება ცნობილი კავკასიისთვის დამახასიათებელი პრობლემები, რეგიონში მცხოვრები ხალხების ისტორიულ-კულტურული

ურთიერთობები, მათი ყოფა და ისტორიის ხანგრძლივ პერიოდებზე გავლენის მქონე ღირებულებათა სისტემები, ეთნიკური კატეგორიები, ინტერეთნიკური ურთიერთობების მარეგულირებელი ფაქტორები.

სწავლის შედეგი: პროგრამის განხორციელების შედეგი იქნება ბაკალავრის მომზადება, სათანადო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებით, რომელთაც შეეძლებათ მონაწილეობის მიღება ეთნიკურ პრობლემათა განხილვა-მოგვარების მიმართულებით წარმართულ საქმიანობაში. ასეთი კადრების მომზადებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის, რადგან დღეისათვის და მომავალშიც ქართული სახელმწიფოსა და პოლიტიკის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი უნდა იყოს რეგიონში მიმდინარე ეთნო-კულტურული პროცესები, რაც გავლენას ახდენს არა მარტო რეგიონის ქვეყნებსა და ხალხებზე, არამედ მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ ზოგად თეორიული და გარკვეული პრაქტიკული (საველე პრაქტიკის გავლისას მიღებული) ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად შეიმუშაონ თეორიული მიდგომები და არგუმენტები სხვადასხვა ეთნო-კულტურულ პრობლემასთან მიმართებაში, შეკრიბონ მათთვის საინტერესო მასალა, სათანადო მეთოდების გამოყენებით და მოახდინონ მონაცემთა ინტერპრეტაცია დარგში არსებული თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით. სწავლების პროცესში სტუდენტებს გამოუმუშავდებათ ისეთი უნარები, როგორიცაა ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, ინფორმაციის მოპოვების, ასევე იდებისა და პრობლემების შესახებ მსჯელობის დროს საჭირო კომუნიკაციის უნარები.

დასაქმების სფერო: პროგრამის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები შეძლებენ საქმიანობა გააგრძელონ სასწავლო დაწესებულებებში; ეთნიკური საკითხებით დაკავებულ სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ რეგიონის ეთნო-კულტურული, ყოფითი, ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრით დაკავებულ ორგანიზაციებში, მასობრივი მედიის საშუალებებში, ტურისტულ სააგენტოებში და სხვ.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ძირითადი სპეციალობა ეთნოლოგიის დასრულება ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს გააგრძელოს სწავლა ჰუმანიტარული და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამებზე.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სასურველია ძირითადი სპეციალობის არჩევა მოხდეს პირველი კურსის მეორე სემესტრში. არჩევანის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება სწავლა განაგრძოს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვა ნებისმიერ ძირითად სპეციალობაზე.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო-კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რესურს–ცენტრი თსუ მე–2 და მე–5 კორპუსებში.

major/minor პროგრამების კომბინაციები.

რეკომენდაციის სახით წარმოვადგენთ major/minor პროგრამების კომბინაციებს, რომელთა პარალელური დაუფლება მომგებიანი იქნება სტუდენტისათვის როგორც პროფესიულად, ისე დასაქმების თვალსაზრისით.

major	minor
ეთნოლოგია	არქეოლოგია
	ისტორია
	ფილოსოფია
	სოციოლოგია
	ფსიქოლოგია
	ქართული ფილოლოგია
	აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამები
	დასავლეთ ევროპის ფილოლოგიის პროგრამები

დამატებითი (minor) პროგრამა

დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ეთნოლოგია

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთი ხუციშვილი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს ეთნოლოგიის დარგში. სტუდენტს მიაწოდოს ეთნოგრაფიული რეალობისა და თავისებურებების (განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება კავკასიის რეგიონსა და საქართველოზე) შესახებ ცოდნა. დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კარგად იქნება ცნობილი კავკასიისთვის დამახასიათებელი პრობლემები, რეგიონში მცხოვრები ხალხების ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები, მათი ყოფა და ისტორიის ხანგრძლივ პერიოდებზე გავლენის მქონე ღირებულებათა სისტემები, ეთნიკური კატეგორიები, ინტერეთნიკური ურთიერთობების მარეგულირებელი ფაქტორები.

სწავლის შედეგი: სტუდენტებს გადაეცემათ დარგობრივი თეორიული ცოდნა ეთნოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიის, ძირითადი თეორიული მიდგომებისა და მიმდინარეობების, დარგის განვითარების თანამედროვე ტენდეციების შესახებ. სტუდენტები გაეცნობიან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ეთნოსი (ხალხი) და მისი მახასიათებლები – მატერიალური და სულიერი კულტურა, ნათესაობის სისტემები, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები, ფსიქოლოგიური თავისებურებები და ეთნიკური ხასიათი, ღირებულებათა სისტემა, კულტურათაშორისი მიმართებანი და კულტურის დინამიკა, აღზრდის ტრადიციები და ქცევის ნორმები. შეისწავლიან მსოფლიოს ხალხთა წარმოშობისა და განსახლების, მათი ანთროპოლოგიური, ლინგვისტური და კულტურული კუთვნილების საკითხებს, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ წარმოიდგინონ მსოფლიოს ეთნიკური სურათი, გააკეთონ მოვლენათა ისტორიულ-ეთნოლოგიური ანალიზი და განსხვავებულ კონტექსტში აღიქვან ისტორიული და მიმდინარე პროცესები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიური პრობლემების შესწავლაზე.

დასაქმების სფეროები: დასაქმების სფეროს განსაზღვრავს ძირითადი სპეციალობა. დამატებითი პროგრამა ეთნოლოგია კი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს ეთნიკური საკითხებით დაკავებულ სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში. პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ რეგიონის ეთნო-კულტურული, ყოფითი, ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრით დაკავებულ ორგანიზაციებში, მასობრივი მედიის საშუალებებში, ტურისტულ სააგენტოებში და სხვ.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დამატებითი სპეციალობის არჩევის წინაპირობა: წინაპირობა არ აქვს

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: IV სემესტრი